

შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი“

მმართველობის ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება	
მმართველობის ანგარიშგება	1
მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5

განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	11
5. კომპანიის შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
7. სხვა საოპერაციო ხარჯი	12
8. ფინანსური ხარჯი	13
9. ფული და ფულის ექვივალენტები	13
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
11. კაპიტალი	14
12. წინასწარ გადახდილი გადასახადები	15
13. მიღებული სესხები	15
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
15. პირობითი ვალდებულებები	16
16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების, კერძოდ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილის - საქმიანობის მიმოხილვის ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჩვენი აუდიტის საფუძველზე შემდეგ ფინანსურ უწყისებზე: წინასწარი სპეციალური დანიშნულების 2017 წლის მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგება წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება ფინანსურ მდგომარეობაზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება კაპიტალის მოძრაობაზე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის

წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაზე 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შენიშვნები წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენ ვატარებთ აუდიტს, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. სტანდარტები მოითხოვს ჩვენგან ეთიკურ ქცევას დაგეგმვისა და აუდიტის შესრულების მომენტში, რათა გამოვთქვათ სანდო მოსაზრება იმის შესახებ, არის თუ არა მატერიალური შეცდომები ფინანსურ უწყისებში.

აუდიტი მოიცავს პროცედურებს, რომლებიც ემსახურება აუდიტორული მტკიცებულების მოძიებას ფინანსურ უწყისებსა და განმარტებით შენიშვნებზე. პროცედურების განხორციელება დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, აღმოაჩინოს ფაქტობრივი რისკები ფინანსურ უწყისებში, იქნება ეს შეცდომა თუ თაღლითობა. რისკების შეფასების პროცესში, აუდიტორი განიხილავს შიდა კონტროლის არსებობას ფინანსური უწყისების მომზადების პროცესში და ამის შემდეგ გეგმავს პროცედურებს ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებით შენიშვნებზე მოსაზრების გამოსათქმელად, და არა შიდა კონტროლის შესაფასებლად. აუდიტორი ასევე აფასებს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობას, მენეჯმენტის საბუღალტრო შეფასების გონივრულობას და ბოლოს - ფინანსური უწყისების წარდგენის წესს.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაბამისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს არსებითი ასპექტების გათვალისწინებით.

ამასთან გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებას მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდისთვის (2017 წელი) და არ გამოვთქვამთ მოსაზრებას სხვა პერიოდებთან მიმართებაში, მათ შორის არც 2016 წელზე.

მნიშვნელოვანი გარემოებები

კომპანიის ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები და განმარტებითი შენიშვნები მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული წლიური ანგარიშგებები მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნის შესაბამისად და წარმოადგენს სპეციალური დანიშნულებით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებებს, რომელზეც დამატებითი განმარტებები გაკეთებულია მომზადების საფუძვლის შესახებ - მე-2 განმარტებით შენიშვნაში.

მენეჯმენტისა და მეწილეებისთვის:

ჩვენ ჩავუტარეთ აუდიტი კომპანიის ფინანსურ უწყისებს, რომლებიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის: მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ანგარიშგების მიმართ:

მენეჯმენტი ვალდებულია, მოამზადოს და წარადგინოს ფინანსური უწყისები ფასს-თან შესაბამისობაში. მენეჯმენტი ვალდებულია შეიმუშავოს, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლები, რომლებიც ახდენენ შეცდომებისა და თაღლითობის თავიდან არიდებასა და აღმოჩენას.

შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტი“-ს სახელით (რეგ. #SARAS-F-344896)

გიორგი ხუციშვილი (რეგ. SARAS-A-520853)

29 სექტემბერი 2018

თბილისი, საქართველო.



ATAfinancial
Audit

www.atapartners.ge

+995 032 243 22 81 

office@atapartners.ge 

11 St Afakidze , 0171, Tbilisi, Georgia 

მნიშვნელოვანი გარემოებები

კომპანიის ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები და განმარტებითი შენიშვნები მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული წლიური ანგარიშგებები მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნის შესაბამისად და წარმოადგენს სპეციალური დანიშნულებით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებებს, რომელზეც დამატებითი განმარტებები გაკეთებულია მომზადების საფუძვლის შესახებ - მე-2 განმარტებითი შენიშვნაში.

მენეჯმენტისა და მეწილეებისთვის:

ჩვენ ჩავუტარეთ აუდიტი კომპანიის ფინანსურ უწყისებს, რომლებიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის: მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ანგარიშგების მიმართ:

მენეჯმენტი ვალდებულია, მოამზადოს და წარადგინოს ფინანსური უწყისები ფასს-თან შესაბამისობაში. მენეჯმენტი ვალდებულია შეიმუშავოს, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლები, რომლებიც ახდენენ შეცდომებისა და თაღლითობის თავიდან არიდებასა და აღმოჩენას.

შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

გიორგი ხუციშვილი (რეგ. SARAS-A-520853)

29 სექტემბერი 2018

თბილისი, საქართველო.

ATAfinancial
Audit

www.atapartners.ge

+995 032 243 22 81 

office@atapartners.ge 

11 St Afakidze , 0171, Tbilisi, Georgia 

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომპანია, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2011 წლის 22 დეკემბერს, შემდეგ იურიდიულ მისამართზე: თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, 300 არაგველის ქუჩა #24.

შპს სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი (შემდგომში „კომპანია“) აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის (SOCAR) აფილირებული კომპანია და „სოკარ გაზი“-ს ჯგუფის წევრია. მისი ძირითადი საქმიანობა ბუნებრივი აირით და ნედლი ნავთობით საბითუმო ვაჭრობაა. შპს სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი არ ახორციელებს ბუნებრივი აირით მომარაგება-განაწილებას.

კომპანიის რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოადგენს საქართველოსა ნავთობისა და გაზის კორპორაციისგან შეძენილი აირის ღირებულებას. კომპანია კლიენტებთან ურთიერთობისას ფასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას ვერ იღებს დამოუკიდებლად და მიჰყვება სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს. სოციალური და კომერციული დანიშნულების მიხედვით რეალიზაციისას იყენებს განსხვავებულ ტარიფებს.

კომპანიის მიერ რეალიზებული პროდუქცია იყიდება საქართველოში. კომპანიის პასუხისმგებლობას არ წარმოადგენს რეალიზებული აირის შემდგომი დისტრიბუცია, თუმცა, განაწილების პროცესში ერთვებიან ჯგუფში (SOCAR) შემავალი შემდეგი კომპანიები: შპს სოკარ ჯორჯია გაზი, სს სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენი, შპს სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი და სს საქორგაზი, ასევე სხვა კომპანიები: შპს გარდაბნის თბოსადგური, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია, სს ვისოლი.

კომპანიას აღებული აქვს გარკვეული ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე, რასაც ასრულებს პირნათლად. თუმცა, სამომავლოდ, კომპანიის გეგმები და სამომავლო შეთანხმებები მის ზრდასა და განვითარებას უკავშირდება.

კომპანია მომავალში გეგმავს გააგრძელოს მუშაობა არსებული ბიზნეს მოდელით. აღნიშნული მოდელიდან გამომდინარე, კომპანიის ოპერირების რისკები ძირითადად ქვეყნებს (საქართველო, აზერბაიჯანი) შორის პოლიტიკური მდგომარეობის პირდაპირპროპორციულია. ბუნებრივ აირზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე, შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტის“ რეალიზაცია პროგნოზირებადია. ამასთან, კომპანია თვლის, რომ მისი საქონლის (ბუნებრივი აირის) სპეციფიკიდან გამომდინარე, რეალიზაციაზე გავლენის მომხდენ ერთერთ მნიშვნელოვან დეტერმინანტად მარეგულირებელი კომპანიის მიერ ფასების ცვლილება რჩება.

შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი“

მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნები	2017
შემოსავალი	5	584,658
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	5	(561,667)
საერთო მოგება		22,991
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(2,765)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		92
სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(2,302)
საოპერაციო მოგება		18,016
ფინანსური ხარჯი	8	(20,704)
ფინანსური შემოსავალი		980
მოგება საკუროს გადაფასებიდან		908
ზარალი მოგების გადასახადამდე		(800)
მოგების გადასახადი		-
ზარალი წლის განმავლობაში		(800)
წლის სრული ზარალი		(800)

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2018 წლის 29 სექტემბერს

ზაურ გულიევი
გენერალური დირექტორი



მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნები	2017
შემოსავალი	5	584,658
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	5	(561,667)
საერთო მოგება		22,991
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(2,765)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		92
სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(2,302)
საოპერაციო მოგება		18,016
ფინანსური ხარჯი	8	(20,704)
ფინანსური შემოსავალი		980
მოგება საკუროსო გადაფასებიდან		908
ზარალი მოგების გადასახადამდე		(800)
მოგების გადასახადი		-
ზარალი წლის განმავლობაში		(800)
წლის სრული ზარალი		(800)

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ 2018 წლის 29 სექტემბერს

ზაურ გულიევი
გენერალური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		88	111
არამატერიალური აქტივები		–	1
წინასწარ გადახდილი გადასახადები	12	58,693	29,026
სულ გრძელვადიანი აქტივები		58,781	29,138
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები		21	22
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	169,908	233,882
გადახდილი ავანსები		11	18
ფული და ფულის ექვივალენტები	9	403	175
სულ მიმდინარე აქტივები		170,343	234,097
სულ აქტივები		229,124	263,235
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	2	2
გაუნაწილებელი მოგება		(26,185)	(25,385)
სულ კაპიტალი		(26,183)	(25,383)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		–	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		–	–
მიმდინარე ვალდებულებები			
გამოცხადებული დივიდენდები	11	35,977	40,182
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	216,612	234,383
მიღებული სესხები	13	2,519	13,338
დარიცხული პროცენტები		–	715
მიღებული ავანსები		199	–
სულ მიმდინარე ვალდებულებები		255,307	288,618
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		229,124	263,235

შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარი	2	(25,385)	(25,383)
ზარალი წლის გამავლობაში	–	(800)	(800)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერი	2	(26,185)	(26,183)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2017
საოპერაციო საქმიანობა	
ზარალი მოგების გადასახადამდე	(800)
კორექტირებები:	
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	52
	(748)
კორექტირებები:	
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში	63,974
ცვლილება გადასახდელ პროცენტებში	(715)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	1
ცვლილება საგადასახადო აქტივებში	(29,667)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(17,771)
ცვლილება გადახდილ ავანსებში	7
ცვლილება მიღებულ ავანსებში	199
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	15,280
საინვესტიციო საქმიანობა	
ძირითადი საშუალების შეძენა	(28)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(28)
ფინანსური საქმიანობა	
სესხის მიღება	-
სესხის დაფარვა	(10,819)
დივიდენდის გადახდა	(3,310)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(14,129)
გადასადელი დივიდენდის გადაფასების ეფექტი	(895)
ფული და ფულის ექვივალენტების ნაზრდი	228
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	175
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	403

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორაციული ინფორმაცია

სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2011 წლის დეკემბერში. შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი“ („კომპანია“) მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, 300 არაგველის ქუჩა #24.

2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით კომპანიის წილის მფლობელები იყვნენ:

- აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია - 50.00%
- ორნონ ინტერნეიშენალ ეს.ეი - 16.65%
- ველ თრეიდიנג FZE – 16.70%
- სემისტონ გრუპ ინკ - 16.65%.

2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა კომპანიის მიერ ფასს-ის შესაბამისად, ფასს 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების“ დანერგვის ხელშეწყობის მიზნებისთვის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

ფასს 1 სტანდარტის მიხედვით კომპანია პირველი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მინიმუმ ორი საანგარიშგებო პერიოდისთვის ამზადებს შემდეგ ანგარიშგებებს: მოგება-ზარალის ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება, ასევე, მინიმუმ სამი საანგარიშგებო პერიოდისთვის - საბალანსო ანგარიშგებას, შესაბამისად მზადდება განმარტებითი შენიშვნებიც. თუმცა, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის მიხედვით კომპანიას აქვს უფლება გამოსცეს მხოლოდ საანგარიშგებო წლის პერიოდის (ამ შემთხვევაში 2017 წელი) მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებები და ორი პერიოდის საბალანსო ანგარიშგება (ამ შემთხვევაში 2017 წლის საწყისი და საბოლოო პერიოდები).

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაყენებლად, კომპანიისთვის ფასს-ზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის“ მიხედვით დანიშნულებისამებრ წარსადგენად. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ მოიცავს შედარებით ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდებისათვის.

ფინანსური უწყისები მომზადებულია ისტორიული ფასების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

ლარი არის შპს სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები აღირიცხება, ამ ტრანზაქციის განხორციელების დღის არსებული კურსით რომლისთვისაც გამოიყენება ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსი ან საქართველოს ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსი, არჩევანი ამ ორ უკანასკნელ წყაროს შორის განისაზღვრება კონტრაქტით.

3.2 კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხულია ისტორიული ღირებულებით, ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ისტორიული ღირებულება მოიცავს ძირითად გრძელვადიანი კონსტრუქციების პროექტების ღირებულებას, თუ ასეთი ღირებულება ზრდის აქტივის სასიცოცხლო ვადას და თუ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს ფასს-ის თანახმად.

3.3.1 აღიარება და შეფასება

კომპანია ძირითად საშუალებებს აღიარებს როგორც ინდივიდუალურ აქტივებს შესაბამისი სასიცოცხლო ციკლით და ცვეთას არიცხავს პროპორციულად სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. თუ კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები, მათი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მოითხოვენ შეკეთებასა და შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღნიშნული ხარჯები აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში.

ნებისმიერი შემოსავალი ან ხარჯი რომელიც წარმოიქმნება აქტივის ამოღებიდან (გამოითვლება როგორც განსხვავება შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აღირიცხება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ხდება აქტივის ამოღება.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი საღირსეზო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.3.2 ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები

თუ ძირითად საშუალებაზე გაწეული დანახარჯი გამოიწვევს ამ საშუალებისგან მიღებული შემოსავლის ზრდას, მაშინ ეს დანახარჯი ზრდის ამ აქტივის ღირებულებას. თუ დანახარჯი აუცილებელია რათა შენარჩუნდეს, ან აღდგეს აქტივის არსებული მდგომარეობა, მაშინ ეს დანახარჯი აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

3.3.3 ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა	5 წლამდე
მანქანები	5-30 წლამდე
ოფისის აღჭურვილობა	4 წლამდე
ავეჯი და სწვა ინვენტარი	10-15 წლამდე
სხვა	10 წლამდე

3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გაყიდვის, და არა იჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, შეძენილი აქტივები კლასიფიცირდება როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები და აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, ბუნებრივი აირის მიწოდებასთან დაკავშირებულ არცერთ პროცესში არ იღებს კომპანია მისაწოდებელ აქტივთან დაკავშირებულ რისკებს საკუთარ პასუხისმგებლობაში. შესაბამისად, ბუნებრივი აირის მარაგები კომპანიას არ გააჩნია. კომპანიის ბალანსზე არსებული მცირე მოცულობის მარაგი წარმოადგენს საოპერაციო საქმიანობისთვის საჭირო სხვა მოკლევადიან აქტივებს.

3.5 შემოსავალი

შემოსავლები აღიარდება მაშინ როცა სავარაუდოა, რომ კომპანიას ექნება ეკონომიკური სარგებელი და ეს შემოსავლები შეიძლება განისაზღვროს საიმედოდ. მიუხედავად იმისა, როდის მოხდება გადახდა. შემოსავლების განსაზღვრა ხდება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

3.6 გადასახადები

3.6.1 მოგების გადასახადი

მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ ან ვალდებულებასთან გასაქვით თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება საგადასახადო განაკვეთები და კანონები, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კანონმდებლობით გათვალისწინებული რეინვესტირებული მოგების გადასახადის განაკვეთი 0%-ს შეადგენს, თუმცა განაწილებისას გადასახდელი გადასახადი 15%-ის ტოლია.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.6 გადასახადები (გაგრძელება)

3.6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლები, ხარჯები და აქტივები აღიარდება დღე-ს გარეშე წმინდა ღირებულებით, გარდა:

- იმ შემთხვევაში, როდესაც ქონების ან მომსახურების შეძენისას გაწეული გაყიდვების გადასახადი არ არის ამოღებადი საგადასახადო ორგანოდან, ამ შემთხვევაში, გაყიდვების გადასახადი აღიარებულია აქტივის შეძენის ღირებულების ან ხარჯების ნაწილად.
- ვალდებულებები და მოთხოვნები მოიცავს დამატებულ ღირებულების გადასახადს.

დამატებული ღირებულების გადასახადის თანხები, რომლებიც მისაღებია ან გადასახდელია საგადასახადო ორგანოსთვის, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება როგორც ვალდებულება ან მოთხოვნა.

3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისაგან.

3.8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსავლების ღირებულების მიხედვით, საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით.

3.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, შემდგომ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

3.10 სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით, სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.11 ახალი სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ზემოთ აღნიშნულიდან სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების ასახვას მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 9

2014 წლის ივლისში ბასს-მა გამოსცა ფასს (IFRS) 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ - საბოლოო ვერსია, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს (IAS) 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს (IFRS) 9 ყველა წინა ვერსია. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით. 2017 წლის ივლისის გამოქვეყნებული ფასს 9 ჩაანაცვლებს არსებულ მეთოდურ მითითებებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ფასს 9 მოიცავს განახლებულ მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურების გასაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალ ზოგად მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი ასევე ძალაში ტოვებს ბასს 39-იდან მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტაზე. ფასს 9 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ადრეული დანერგვა დაშვებულია. 2018 წელს კომპანია შეაფასებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 9-ის პოტენციურ გავლენას.

ფასს 15

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 შემოსავალი, ბასს 11 სამშენებლო ხელშეკრულებები და ფასს 13 კლიენტების ლოიალურობის პროგრამები. ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ ორგანიზაცია აღიარებს შემოსავალს, რათა ასახოს დანაპირები საქონლის ან კლიენტებისთვის მომსახურების გადაცემა იმ თანხით, რომელსაც ორგანიზაცია მოელის საქონლის ან მომსახურების გაცვლიდან. ახალი სტანდარტი ითვალისწინებს ასხნა-განმარტებებს შემოსავლის შესახებ, მოიცავს მეთოდურ მითითებებს იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც ადრე არ იყო განხილული სრულად და ასევე ხდება გაუმჯობესება იმ შეთანხმებებისთვის, რომლებიც მოიცავენ მრავალ ელემენტებს. ფასს 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. მისი დროზე ადრე დანერგვა ნებადართულია. 2018 წელს კომპანია შეაფასებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 9-ის პოტენციურ გავლენას.

ფასს 16

ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), IFRIC 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), SIC 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და SIC 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას). იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორ სააღრიცხვო პრინციპს, რომლებიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. მეიჯარის აღრიცხვა არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. მეიჯარეები განაგრძობენ ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15-იც (შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან). 2018 წელს კომპანია შეაფასებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 16-ის პოტენციურ გავლენას.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, გამოთქვას მოსაზრებები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობაზე. გარკვეულმა დაშვებებმა და შეფასებებმა შეიძლება საჭირო გახადონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტმა გააკეთა დაშვება, რომ არც ერთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სავაჭრო მოთხოვნა, არ იყო უიმედო და არ საჭიროებდა გაუფასურების რეზერვის შექმნას. რადგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულმა დებიტორებმა, ანგარიშის ხელმოწერის თარიღისთვის, საქორგაზის გარდა, სრულად დაფარეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული დავალიანება. ასევე აღსანიშნავია, რომ სტატისტიკურად, სავაჭრო მოთხოვნების მიუღებლობას ადგილი არ ჰქონია წარსულ პერიოდებშიც.

5. კომპანიის შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავალი შედგება ბუნებრივი აირის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი“ აირს ყიდულობს კომპანია სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისაგან“. კომპანიის რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოადგენს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისაგან“ შემენილი აირის ღირებულებას.

იმის გამო, რომ კომპანია დამოუკიდებელია და იღებს გადაწყვეტილებებს და რისკებს გაყიდვის პირობებთან დაკავშირებით, იგი ასრულებს არა აგენტის, არამედ ბუნებრივი აირით მოვაჭრის ფუნქციას.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ხელფასები	(1,448)
იჯარის ხარჯი	(443)
ცვეთა და ამორტიზაცია	(52)
მარკეტინგული ხარჯი	(38)
ბანკის მომსახურების საკომისიო	(31)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(26)
კომუნალური ხარჯი	(14)
დაზღვევის ხარჯი	(9)
სხვა ხარჯი	(704)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(2,765)

2017 წლის განმავლობაში კომპანიას სრულ განაკვეთზე საშუალოდ დასაქმებული ჰყავდა 22 თანამშრომელი. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნახევარზე მეტი ხელფასის ხარჯია (1,448 ლარი). ამასთან, აღსანიშნავია, რომ იჯარის ხარჯი (443 ლარი), წარმოადგენს კომპანიის სათავო ოფისის იჯარის ხარჯს.

7. სხვა საოპერაციო ხარჯი

	2017
2017 წელს დარიცხული რეგულირების საფასური (ა)	(1,169)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,133)
სულ საოპერაციო ხარჯი	(2,302)

(ა) კომპანიის მიერ სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიისადმი“ 2017 წელს დარიცხულმა გადასახადმა შეადგინა 1,169 ლარი. აღნიშნული გადასახადის დარიცხვა ხდება 2003 წლის 8 სექტემბრის „ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და გადახდის წესის“ დამტკიცების შესახებ სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის“ დადგენილება №17-ის მიხედვით.

კომპანიამ სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის“ ანგარიშზე გადარიცხა 729 ლარი.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. ფინანსური ხარჯი

	2017
ფინანსური ხარჯი არა ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხებ თანხებზე (ა)	(19,772)
ფინანსური ხარჯი ბანკისგან აღებულ სესხებზე (ბ)	(932)
სულ ფინანსური ხარჯი	(20,704)

ა. მომწოდებლისაგან სესხად კლასიფიცირებულ თანხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი წლის განმავლობაში იყო 19,772 ლარი. საშუალო საპროცენტო განაკვეთი აღნიშნული სესხად კლასიფიცირებული სესხებისთვის იყო წლიური 16%+Libor.

ბ. ამასთან, კომპანიას აქვს აღებული სესხი და აკრედიტივი, სესხის საპროცენტო ხარჯია 816, აკრედიტივის 117, რაც ჯამში 933 ლარია;

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
ფული ბანკში	401	169
ფული სალაროში	2	6
	403	175

ფულს ბანკში ერიცხება 0% საპროცენტო სარგებელი.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
მოთხოვნები ბუნებრივი აირის რეალიზებიდან	121,825	191,691
მოთხოვნები დარიცხული საურავებიდან	3,791	2,858
მოთხოვნები მეკავშირე კომპანიისგან	33,445	39,121
სხვა მოთხოვნები	10,847	212
სავაჭრო მოთხოვნები	169,908	233,882

შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტის“ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ბუნებრივი აირის რეალიზებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს უკავია დიდი ნაწილი, რაც შეესაბამება კომპანიის საქმიანობის სპეციფიკას. სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს უპროცენტო ვალებს. საანგარიშგები პერიოდის შემდგომ, 2018 წლის 29 სექტემბრის მდგომარეობით, შპს სოკარ გაზ „ექსპორტ-იმპორტს“ სრულად ჰქონდა მიღებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სავაჭრო მოთხოვნები, გარდა დაკავშირებული მხარის, სს საქორგაზის დავალიანებისა, რომლისაგან მოთხოვნასაც კომპანიას არ უქმნის რეზერვს იმის გამო, რომ არსებობს გონიერი რწმუნებულება, რომ აღნიშნული კომპანია 2018 წლის ბოლომდე დაფარავს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. კაპიტალი

11.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენს 1,657 ლარს (აღნიშნული მაჩვენებელი მითითებულია ერთეულ ლარში). 2017 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ მომხდარა.

11.2 დივიდენდები

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და პარტნიორებს შორის განაწილების წესს. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე პარტნიორთა შორის დივიდენდების განაწილება უნდა მოხდეს კომპანიის საწესდებო კაპიტალში მათი წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად.

2017 წლის განმავლობაში დივიდენდი არ გამოცხადებულა.

2017 წლის 1 იანვრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გასაცემი 2013 - 2014 წლის მოგებასთან დაკავშირებული დივიდენდების გამოცხადება მოხდა 3-ჯერ, 2013 წლის დეკემბერში, 2014 წლის აპრილსა და 2015 წლის ივნისში.

	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
გამოცხადებული დივიდენდები	(35,977)	(40,182)
სულ გამოცხადებული დივიდენდები	(35,977)	(40,182)

აღნიშნული თანხები მოიცავს დივიდენდის საშემოსავლო გადასახადს. რადგანაც დივიდენდის გამოცხადების ვალუტა იყო აშშ დოლარი, 2017 წლის ბოლოს დაერიცხა დადებითი საკურსო სხვაობა 895 ლარი.

დივიდენდის გაცემის პერიოდსა და მოცულობებს ჰქონდა შემდეგი სტრუქტურა:

2017 წლის ივნისში	1,324,245 ლარი
2017 წლის ოქტომბერში	621,585 ლარი
2017 წლის ნოემბერში	1,199,230 ლარი

ფიზიკურ პირზე დაკავებულმა და გადახდილმა საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა: 165,529 ლარი.
(აღნიშნული თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში)

11.3 ფუნქციონირებადი საწარმო

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ამ ეტაპზე არის ზარალიანი, მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე და გაგრძელდება ექსპლუატაციის ფაზაზე უახლოეს მომავალში. კომპანიას არ აქვს განზრახვა და არც საჭიროება ფულად აქციოს ან მატერიალურად შეზღუდოს თავისი საქმიანობის მასშტაბი. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. წინასწარ გადახდილი გადასახადები

კომპანიას საანგარიშგებო წლის დასაწყისში ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხის სახით ჰქონდა 29 მილიონი ლარის აქტივი. 2017 წლის განმავლობაში კომპანიამ დამატებით გამოიმუშავა 29.7 მილიონიანი ზედმეტობა, რაც სრულადაა დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ ჩათვლასთან. 2017 წლის განმავლობაში კომპანიას ბიუჯეტში გადასახადების სახით თანხა არ გადაურიცხავს. კომპანია ახდენს აღნიშნული წინასწარ გადახდილი გადასახადების ჩათვლას მიმდინარე პერიოდების რიცხული ვალდებულების დასაფარად, შესაბამისად აღნიშნული აქტივი სრულად ექვემდებარება გამოყენებას

13. მიღებული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ხანდაზმულობა	ვალუტა	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
ადგილობრივი ბანკებიდან ნასესხები სახსრები	15.50%	07/05/2018	GEL	2,519	8,433
ადგილობრივი ბანკებიდან ნასესხები სახსრები	13.50%	25/03/2017	GEL	-	4,905
				2,519	13,338

2017 წლის იანვრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა 2015 წელს აღებული არაუზრუნველყოფილი სესხი თი ბი სი ბანკისგან, რომელიც 2017 წლის განმავლობაში სრულად დაფარა. ასევე, სესხის სახით ჰქონდა 2016 წელს თი ბი სი ბანკთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად მიღებული თანხა, რომლის სრულად დაფარვა 2018 წლის განმავლობაში მოხდება.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
ბუნებრივი აირის შესყიდვებთან დაკავშირებული სავაჭრო ვალდებულებები	216,517	233,861
საწვავის შესყიდვებთან დაკავშირებული სავაჭრო ვალდებულებები	-	432
სხვა მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებები	95	90
სულ სავაჭრო დავალიანებები	216,612	234,383

სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტის რეალიზებული საქონლის ერთადერთი მომწოდებელი 2017 წლის განმავლობაში იყო საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. შესაბამისად, საანგარიშგებო წლის ბოლოს, ბუნებრივი აირის შესყიდვებთან დაკავშირებული სავაჭრო ვალდებულებები “საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის” მიმართ არსებულ დავალიანებას წარმოადგენდა.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო დაბეგვრა საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებები. ოფიციალური გამონათქვამები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და სხვადასხვა ინტერპრეტაციას ექვემდებარება. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილი არიან შეამოწმონ წინა სამი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას.

ამ გარემოებამ შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ მიერ აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები შესატყვისობაშია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან, თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენა ამ ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუ შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაცია იყო მართალი, მათი ინტერპრეტაციის განხორციელებისას, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკი.

ყოველი საანგარიშო თარიღის მიხედვით ხელმძღვანელობა ახდენს საგადასახადო რისკების შეფასებას და განიხილავს იმ შემთხვევებს, რომლებიც შეიძლება შესწავლილ იქნას საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ. როცა ამის რისკის დადგომის ალბათობა იქნება მაღალი, კომპანია შექმნის შესაბამის რეზერვებს.

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

16.1 ტრანზაქციები მენეჯმენტთან

მენეჯმენტზე გაცემულ ხელფასებს 2017 წელს ჰქონდა შემდეგი სტრუქტურა:

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დირექტორატისთვის გადახდილი ხელფასი	116
სულ დაკავშირებულ მხარეებზე გადახდილი ხელფასი და სხვა სარგებელი	116

16.2 რეალიზაცია დაკავშირებულ მხარეებთან

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“	112,541
სს „სოკარ ჯორჯია გაზ დიტრიბუშენ“	13,456
სულ დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული შემოსავალი	125,997

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმართ არსებული დებიტორული დავალიანებები, 2018 წლის 29 სექტემბრის მდგომარეობით კლიენტ კომპანიებს დაფარული აქვთ 100%-ით, გარდა შპს „საქორგაზს“, რომელსაც ამავე პერიოდის მიხედვით დაფარული აქვს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დავალიანების 50%-ზე მეტი.

2018 წლის თებერვალში კომპანიამ დაფარა სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისიისადმი“ დარჩენილი დავალიანება 440 ლარი.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების გარდა, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.